

1938

საბავშვო
საქართველო

საბავშვო საქართველო



1938

5

ოქტომბერი

№ 5

მ ა ი ს ი
1938 წ.



საბ. ს. ს. რ. ცაკის ბაზ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-32-61

საბ. პ. ლ. კ. კ. ცეკას და საბ. ბანსახმონის ერთობიური ორბანო

შინაარსი

1. კარლო კალაძე, — გურამის ლექსი (ლექსი)	1
2. მარიკა მიქელაძე, — თინას მისობა (მოთხრობა)	2
3. ილია სინბარულიძე, — სამისო სიმღერა (ლექსი)	3
4. ბიორბი კახახიძე, — ზეიშის მონაწილენი (ლექსი)	5
5. ლავრენტი ზიზინაძე, — თაიფული (მოთხრობა)	6
6. ბიორბი მუხრანელი, — პირველმისობა (ლექსი)	7
7. შალვა თაბუაშვილი, — პატარა სტუმარი (მოთხრობა)	8
8. ი. ბრიგაშვილი, — მეც ყურები დამაპერი (ლექსი)	11
9. მარიჯან, — პარაშუტი (ლექსი)	11
10. ან. ლვინიაშვილი, — „ლადო კეხოველი“ (წერილი)	12
11. კონსტანტინე ბანსახმონი, — მელა და აქლემი (იგავი)	15
12. ემელან ბიორბაძე, — ნორჩი ფიზიკოსები (მოთხრობა)	16
13. თ. შავიძე, — სიმღერა ლ. ბერიძე (ნოტი) გარეკანის მე-4 გვ.	

ქურნალი გაფორმებულია შატვარ. ი. ქოქიაშვილის, გ. კახიძის კ. თენაშვილის და ვ. ჯაფარიშვილის მიერ.

გარეკანის შატვრობა ეკუთვნის — რევაზ რევაზიშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. შიშინაძე

გადაცევა წარმოებას 15/IV-1938 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV

ქალაქის ზომა 60×92
ფორმათა რაოდენობა 16 გვ. 9 1/4×14

გურამის ლექსი

— ნეტავი მერცხლად მაქცია,
არ შეძახოდნენ გურამს!
მოვის პერანგი მაქცია
და ნაბდის ქული მხურავს.

მზეს, მთების იქით პირველად,
მეც მხრებგაშლილი ვხვდები!
ნეტავი გასაკვირველად
წამით დადაბლდნენ მთები,

რომ ხეობიდან თბილისი
შორით მოჩანდეს მაინც,
ვნახო ქუჩები იმისი,
როგორ ხედებია მისის!

კათ ვარსკვლავები ქრებიან, —
სახლებს დაჰკიდეს ყველა!
რა კარგი დასაკრეფია
ვარდ-ყვავილებიც ველად.

ნიავეს უახლოვსმა
დროშა გაშალა დილით!
მე შუა ძილში მომესმა
მისი შრიალი ფრთხილი...

და შეფოთლილი რტოებიც
ჩანან აივნის ახლო,
გურამი განმარტოებით
ხეების ჩრდილში ვსახლობ.

ფოთლებზე ნამის წვეთები
უკვე ციმციმებს ვერცხლად!
მკლავებს გავშლი და ვეცდები,
რომ გადავიქცე მერცხლად...

...გურამი სოფლის კაცია, —
აქ ვინ არ იცნობს გურამს!
მოვის პერანგი აცვია
და ნაბდის ქული ხურავს...

ვერ შეაჩერეს ფიქრებმა,
ადრე აფრინდა დილით! —
და ყვევილებზე იხრება
მისი პატარა ჩრდილი...

ოცნებით ხედავს ქალაქსაც,
გული ჩიტივით უტეშს,
ხედავს: მანქანამ შარავხა
ამოიბრინა უცებ...

კარი გაუღო შოფერმა
და აუსრულა ფიქრი!
გაიგო მთელმა სოფელმა,
რომ ქალაქისკენ მიჰქრის.



ავტო ბავშვებით აივსო,
და მალე გაქრა ველოდ.
— სალამი პირველ მისისო! —
გაიძახოდა ყველა!

მხიარულ ფრთების ფართქალით
თითქოს ბუდეში სხედან, —
მათმა სიმღერამ მანქანით
გამოიარა მცხეთა,

გაჰკვეთა მთების კალთები,
შუა ქალაქში ივლის,
რომ სამაისოდ ვარდები
ისევ მოჰფინონ თბილისს...



არხენად აზრამუნებდა პურს და თინას საყვედურზე ყურიც არ შეუბერტყავს. თინამ ზურგი შეაქცია უმადურ ვიირიკას და სახლისაკენ გასწია.


დარბაზში თავი მოეყარათ ბავშვებსა და მასწავლებლებს. როგორ მოერთოთ დარბაზი! კედლებზე ეკიდა ძია სტალინის, კიდევ ძია ლენინის, ვოროშლოვის, ძია ლავრენტი ბერიას სურათები, ბევრი კარგი ძიის სურათები იყო აქ. მალლა, ოთახის გარდიგარდმო, ყვავეილებს აცმულები ეკიდა, ერთი აცმულა, ორი, სამი, ოთხი, ბევრი, ბევრი აცმულა! უცებ აცმულები ძირს დაიწია. თინას ეგონა, ძაფები შესუსტდა და აცმულები ჩამოკვებდებოდა, მაგრამ უცებ ბავშვებმა დაიყვირეს:

— შოკოლადი, შოკოლადი! აი კიდევ რაღაც პარკი!

თინა დააკვირდა და დაინახა, რომ აცმულებზე ტკბილეულობა ეკიდა: შოკოლადი, კამფეტი, ჩურჩხელები, პარკში ჩაყრილი თხილი. აცმულები სულ ძირს ჩამოეშვა, და ბავშვები მისცვივდნენ ტკბილეულობას მოსაკრეფად. რა ყიჟინი, რა სიცილი შეიქნა! ხუთი წუთის შემდეგ არც ერთი კამფეტი აღარ შერჩა აცმულებს, და ისინი წუნარად ავიდნენ მალლა. თინამ გაიკვირა:

— ვაი! საიდან გაიგეს აცმულებმა, რომ ტკბილეულობა გათავდა?

დღედა გაიანემ გაიციანა და აუხსნა: — ეს დღედა ნატომ მოაწყო ასე ეშმაკურად. როცა ბაწარს მოუშვებს, აცმუ-



ლები ძირს ჩამოვლენ, მოქაჩავს და ისევ მალლა აიწვეიან.

ამ დროს დეიდა ნატომ დაიძახა: — ჩქარა, ჩქარა, ეზოში გამოდით ყველანი!

ბავშვები გარეთ გაცვივდნენ. რეზომ დაიყვირა:

— ჭადარს, ჭადარს შეხედეთ! ჭადარს კენწეროდან უცებ პაწია წითელი პარაშუტი წამოვიდა. პარაშუტზე დედოფალა იყო გამობმული, ღიღი, ლამაზი დედოფალა.

— დედოფალა მოფრინავს, დედოფალა! — დაიყვირეს ბავშვებმა და გამოუდგნენ პარაშუტს. ის რეზომ დაიჭირა. დედოფალას გულსიპირზე პატარა ბარათი ჰქონდა მიკრული. რეზომ ხმამაღლა წაიკითხა ბარათი, ზედ ეწერა:



„მე მქვია ნინა, ჩემს პატრონს — თინა“.
 — თინა, თინა, დედოფალა მოგიფერინდა! — დაიძახეს ბავშვებმა. თინამ სიხარულით ჩაიკრა გულში ცისფერკაბიანი დედოფალა, რომელსაც ქერა თმებში ცისფერი ბანტი ებნია.

— კიდევ, კიდევ პარაშუტი! — გაისმა ყვირილი.

ახლა ყვითელი, შავწინწყლებიანი პარაშუტი მოფრინავდა, ზედ სათამაშო თოფი იყო გამობმული: ეს რეზოს საჩუქარი იყო. მერე ფოთლებივით ჩამოცვივდა პარაშუტები — ცისფერები, ყვითლები, ვარდისფერები. რა ქრიაშული შეუღდათ ბავშვებს! ყველამ თითო საჩუქარი მიიღო, და ყველამ ის მიიღო, რაც ძალიან უნდოდა.

ცისფერბანტიანი ვირიკა განზე გამდგარიყო და უტკეროდა ბავშვების მხარულუბას, მერე იფიქრა, მოდი, მეც ჩავერევი ამ ზეიმშიო, და გამოეღვივდა ბავშვებს. ამ დროს მაღლიდან ცისფერი პარაშუტი მოფრინავდა. პარაშუტმა იბორიალა, იბორიალა და ვირიკას ზედ ცხვირზე წამოეგო! ვირიკამ ყურით არ შეიბერტყა და ღინჯად განაგრძო გზა. შორიდან რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ

ვირიკას პატარა ქოლგა დაუკეოდა და იჩრდილებო.

ამ დროს კოხტად მორთული საბარგო ავტომობილიც მოვიდა. ბავშვები და დედა ნატო ჩასხდნენ შიგ და გაქანდნენ მხიარულ ქუჩებში. უპ, რომ იცოდეთ, რამდენი ხალხი იყო ქუჩებში, რამდენი დროშა, ყვავილები! გრიალებდა მუსიკა, ხალხი ქუხდა „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! ვაშა!“ ჩვენი პატარებიც იძახდნენ: „ვაშას!“ — და მიჰქროდნენ წინ. უცებ თინამ მამას მოჰკრა თვალი.

— მამიკო! აი, ჩემი დედოფალა! — დაიყვირა თინამ და თავისი დედოფალა მალე ასწია. მამამ ვერ მოასწრო პასუხი, მხოლოდ გაიცინა და წითელი ვარდი ესროლა. ვარდი კალთაში ჩაუვარდა თინას.

როცა ალღუმი გათავდა და თინა შინ დაბრუნდა მან ოთახში შეირბინა და დედას მიაძახა:

— ოპ, დედიკო, რომ იცოდე, რა მხიარული, რა კარგი იყო ჩვენი მისობა! დედამ გულში ჩაიკრა თინა და უთხრა:

— ეს იმიტომ, ჩემო თინიკო, რომ მთლად ჩვენი ცხოვრება მხიარული და კარგია!

სამაისო სიმღერა

ილია სიხარულიძე

მოვირთეთ და მოვიკაზმეთ,
 დროშებიც გვაქვს, ყვავილიც!
 დავწყვეთ და დავირაზმეთ,
 ახლა ქუჩებს დავივლით;
 ქუჩებს, მაგრამ ფეხით არა:
 პატარა ვართ, პატარა!
 ხალხს კარგად ვერ დავინახავთ,
 ავტომ თუ არ გვატარა!

აჰა, ვსდებთ ღიღი ავტო
 იესება, იქედება,
 ჩვენი „ვაშა“ და სიმღერა
 დროშების ტყეს ეღება.
 მოვირთეთ და მოვიკაზმეთ,
 დროშებიც გვაქვს, ალმებიც!
 ჩვენს ესპანელ მებრძოლ დაძმებს
 ვაშა! მივესალმებით!



ძალიან გახარებულია პატარა თემური. თავი ფანჯარაში აქვს გადმოყოფილი, თვალს არ აშორებს ტფილისის განიერ პაროსპექტს. უკვირს, ასე დიდი დემონსტრაცია რომ არის, ხალხი აღარ ეტევა ქუჩებში. ისინი მოდიან მწყობრად. მოაფრიალებენ ლოზუნგებს, პლაკატებს. ქარხნები, ფაბრიკები, თეატრები, სკოლები, სახელოსნოები მოდიან თავიანთი ნახელარით. ჯგუფჯგუფად მოაქვთ უთვალავი დროშა. წყნარი სიოა ხანად აფრიალებს წითელ დროშებს, ახლადგაფუქნულ ტყესავით რომ მოაშრიალებენ.

სახლებზედაც დროშებია გადმოკიდებული, ფერადფერადი ხალიჩები. მოხდენილ ადგილებზე ამართულია ბელადების დიდი პორტრეტები.

აღტაცებული თემური ფანჯრიდან ლექსს კარგი ორატორივით ამბობს:

ღღეს პირველი მისია
და ბრწყინვალე გახაფხული,
წითელ-წითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული!

თემურსაც ხალხთან სიარული უნდა, მაგრამ რა ქნას, ჯერ პატარაა. რომ გაიზარდება, თვითონაც ამაყად წააფრიალებს წითელ დროშას. ეს მერე, სულ მერე იქნება. ლექსის კითხვას რომ მორჩა, ბებიას მივარდა, აღარ ასვენებს:

- ბები, ბებიკო!
- რა იყო, შვილო, რა გული გამიწყალებე, — ნაწყენის ხმით უპასუხა ბებია.
- ბებიკო, მეც ქუჩაში გასვლა მინდა, აი, იქა, კაცები და ქალები რომ

მიდიან. რატომ არ წამიყვანა მამიკომ?
— რატომ?! თემური პატარააო, ხალხი გადათელავსო...

ეწყინა თემურს.

— დიად, — უკბილო მოხუცივით ჩაიჩიფჩიფა ბებიას გასაჯაგრებლად, გადათელავსო, ვითომ ჭია ვარ. დამაცადე, აქ მოვიდეს მამა!

— ჰო, შვილო, როდესაც მოვა, გაჩეჩე! — აქვებდა ბებია, იქნებ ტირილი არ დაიწყოსო.

ფედერაციის მოედანზე ტრიბუნიდან მთავრობის წარმომადგენლები იძახოდნენ ლოზუნგებს. ხალხი „ვაშას“ ძახილით პასუხობდა. თემური თავისი ფანჯრიდან მოედანზე ყველაფერს კარგად უტკეპროდა.

უცებ, მსურვალე „ვაშას“ დროს, ხალხის შუაგულიდან უთვალავი სხვადასხვა ფერის ბუშტი ავიდა ჰაერში. რამდენიმე ხნის შემდეგ, თითქოს ბუშტებზე იყო გამობმულიო, ვეებერთელა თაიგული წავიდა ზევით — ზევით. გაოცდა ხალხი, და უფრო გაკვირდა თემური ამ თაიგულის გაფრენით.

უცნაურად იყო თაიგული შეკრული, ძალიან დიდი, რაღაც ზღაპრულად, მოვარაყებულნი. თაიგულს და ფერად ბუშტებს, რომლებიც მოედნის თავზე ქანაობდნენ, ტრიბუნიდან სიცილით უტკეპროდნენ.

მაგრამ სულ სხვა იყო თემურის სიხარული, ისე ხტოდა ფანჯარაზე, ლამის უნდა გადმოვარდნილიყო, რომ ბებიას არ წაეტანებინა ხელი.

— ბები, ბებიკო! — მარტო ამ ერთ სიტყვას იძახოდა თემური და ხელს მაღლისკენ აშვერდა. ბებიაც მაღლა იცქირებოდა ჩალამებული თვალებით, მაგრამ ვერაფერს ხედავდა.

— რაა იქ, შვილო?

— ყვაილები, ყვაილები, დიდი თაიგული! აუუ, რა მაღლა ავიდა!

მერე ბებიაშეცა დაინახა ჰაერში ასული

თაიგული და გაუკვირდა. ბებიაშეცა და მისმა შვილიშვილმა არ იცოდნენ, რატომ იყო ის თაიგული ზევით ასული. თემურიც მამა რომ მოვიდა, იგი არ გაუჩინა მისმა ტარა ბიჭიკოს, თემური მივარდა, კისერზე მოეხვია, დაუჯდა მუხლებზე და თაიგულის ამბავი გამოჰკითხა. მამამაც მაშინვე აუხსნა, თაიგულის შუაგულში ბუშტები იყო ვახვეულიო და იმ ბუშტებმა მაღლა გააქანესო.



მეორე ქვიშვილი



ჩვენო პირველ მისო,
სატრფიალო, საერთო!
ხალხთა ძმობის ხმა ისმის,
დროშები მზედ აენთო!

ქუჩები გაწეულა
საზეიმო ტალღებით!
საპატიო წვეულად
გამოშლილან ბაღლები!

მისის ყვაილები
სამაისოს მღერიან!
„ვაშას“ შეძახილებით
შეჰხარიან ბერიას.


იგიც გულმხურვალეებით
ყველას ესაყვარლება

და ჩვეულ მოკრძალებით
ჩრდილავს თვის ბრწყინვალებას.

გარჯით, მეცნიერებით,
დოვლათით და ბარაქით,
ლაღობს ყელმოღერებით
სოფელი და ქალაქი.

ჩვენო პირველ მისო,
საზეიმო, საერთო!
აღტაცების ხმა ისმის,
ცა დროშებით აენთო!

ვაშა შრომის დღეობას!
დასტკებით, იბედნიერეთ!
დიდ სტალინის მზეობას—
სიბრძნე და სიძლიერე!



— ძია, გაათენე, მზე მინდა, გაათენე!
— ეხვეწებოდა ბიჭუნა ქალარა ძიას.

— რა ექნა, თვლა დამავიწყდა და ისე
არ გათენდება, — მიუგო ძიამ.

— კი გათენდება, კი! გაათენე, ლა იქ-
ნება!

— კარგი, ვსინჯოთ. ერთი! ორი! ხუ-
თი! ათი!

თამაზიკომ გაიხედა ფანჯარაში.

— ლო აღ გათენდა?

— თვლა დავიწყებია, თამაზიკო, და
იმიტომ არ გათენდა, — უთხრა დედამ, მა-
გრამ ბიჭს თვალები ცრემლებით ავესო
და ტირილი მოართო.

— დედიკო, უთხალი გაათენოს. უთხა-
ლი!

ძლივს დააწყნარეს თამაზიკო.

* *



კვე თბილისშია პა-
ტარა თამაზი. დეი-
დაშვილები ეხვევი-
ან.

მთელი სახლი თავზე წამოიცივს, და-
რბიან, ანცობენ.

თამაზის დედამ უამბო დისწულებს,
როგორ ატირდა მატარებელში თამაზიკო,
გინდა თუ არა, ძიამ გაათენოსო. ბევრი
იციენს თინიკომა და დათიკომ.

— ბიჭო, მაგხელა კაცი ხარ, შენი ტი-
რილი გამოგონია? — ეუბნებოდა თინიკო.

— რამდენი წლისა ხარ, თამაზიკო? —
ჰკითხა დათიკომ.

— ოლი წლისა და ცხლა წლის.

ბავშვებმა გადიკისკისეს. თამაზი ავიდა
პატარა სკამზე, დაეყრდნო მაგიდას, უკუ-
ღმა დაიდვა წიგნი და ტუჩებს აცმაკუ-
რებდა, ვითომდა ვკითხულობო.

— თამაზიკო, თამაზიკო, ძია პეტრე
როგორ გეუბნებოდა ტირილი არ გაბე-
დლო?

— ბავშვის ტილილი აღ გე-ვაგო-
ნო!! — და ისე მოიქნია ხელი, რომ სკამი წა-
ეკეცა და თამაზიკომ ძირს გააღინა ბრაგ-
ვანი. მისცივედნენ აღრიალებულ ბავშვს,
რომელიც თავზე ისვამდა ხელს, და ბი-
ძია ვასოც სიცილით ეუბნებოდა:

— კიდევ თქვი, კიდევ, როგორ გეუ-
ბნებოდა ძია პეტრე?

თამაზს ლოყაზე უბრწყინავდა ცრე-
მლი. მან თვალი მოჰკრა ძია ვასოს მო-
ნადირე ძაღლის ნომერს და ჰკითხა ძიას:

— ეს ლა კიღია კისელზე ძაღლს?

— ეს მე ვაჩუქე, — მიუგო ძიამ.

— ლატომ აჩუქე?

— იმიტომ, რომ კურდღლებს მიპოვ-
ნის ხოლმე, როცა სანადიროდ მივედივარ,
შენ გინახავს კურდღელი?

— პალიკმახელთან ვნახე.

— პარიკმახერთან? იქ რა უნდოდა,
წვერს ხომ არ იპარსავდა? — გაღიხარხარა
დათიკომ, და ყველას სიცილი აუტყცდა.

— ლა ვიცი მე ლა უნდოდა. ეს და-
ნა ვისია?

— ჩემია, — უთხრა ძია ვასომ.

— კულდღელმა გაჩუქა?

— არა, ვიყიდე.

ამ დროს ეზოში გაისმა ძახილი:

— თაფლი-მიოდ! თაფლი-მიოდ!

თამაზმა მოჰკრა ყური და თვითონაც
ავყირდა:

— თაფლი-ნიოდ! თაფლი ნიოდ!

— ნიორი კი არა, ხახვი არ გინდა!
მიოდ, ბიჭო, თაფლს ჰქვია რუსულად —
სიცილით უთხრა თინიკომ, გადაეხვია
და დაუწყო კოცნა.

დაულალავად ცველკობდა მთელი დღე
ბიჭუნა, ოჯახში ერთი აურზაური იყო.



აღამოა. დედა კატოს
სტუმრები ეწვივნენ.

შემოუსხდნენ სუფრას,
ჩაის სვამდნენ. თამაზი სუფრის თავში
დასკუბდა, როგორც ყველაზე საპატიო
სტუმარი. დედა კატომ ჩაი დაუდგა და
ორი ნატეხი შაქარი ჩაუგდო, მაგრამ
თამაზი ახირდა, მეც უნდა ჩავაგდო შა-
ქარიო, და ერთი ნატეხიც თავისი ხე-
ლით ჩაიმატა. მეტისმეტად უყვარს ჩაი
თამაზიკოს, მას კი ძალიან იშვიათად
უხდება სოფლად მისი დაღევა. ჩაი
ცხელი იყო, ბავშვი კი დაღევას ჩქა-
რობდა. მაშინ დედა კატომ თქვა:

— მოდი, თამაზმა ლექსი თქვას, ამა-
სობაში ჩაიც გაცივდება და მერე დაღევს.
კარგი თამაზ?

— თქვი, თამაზიკო, თქვი, — გააქეზა
დედამაც.

თამაზი აიყვანეს და ტახტზე დააყენეს.
მან დაიწყო:

ღღეს მუშების ღღეობა,
ბლწყინვალე და დიდებული,
მოდის ხალხი, მოგუფუნებს
ელთ დლოშის ქვეშ დალაძეული.

— ყოჩაღ, თამაზ, ყოჩაღ! — მოუწონეს
სტუმრებმა. მერე მოაყოლეს გვირაბში
დაღამების ამბავი და ბევრი ცინცინცა

— ახლა კი მოდი და ჩაი დალიე, —
უთხრა ძია ვასომ, ხელში აიტაცა და ისევ
მაგიდასთან დასვა სკამზე.

თამაზიკო დაჯდა, აიღო კოვზი, შე-
ხედა ჩაის და... ღრიალი მორთო, ცრე-
მლები დაბალუბით ჩამოსდიოდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა? ჩაი
ხომ არ გადაგესხა? — ეკითხებოდა შემფო-
თებული დედა.

— ჩემი... — ფშლუკუნით ამბობდა თა-
მაზიკო.

— დაიწვი? ჩაი გადაგესხა?

— მომპალეს...

— რა მოგპარეს, თამაზიკო, რას ამ-
ბობ? — გაოცდა დედა კატო.

— შაქალი მომპალეს... აქ იყო... ჩაი-
ში, — ცრემლების ღვრით უპასუხა თამა-
ზმა.

— ბიჭო, შაქარი გადნა, შე სულელიო —
ღიმილით ეუბნებოდა დედა. სტუმრე-
ბი სიცილით იხოცებოდნენ, თამაზიკო
კი მანამდის ვერ დააწყნარეს, სანამ არ
მისცეს საშაქრე და სამი ნატეხი შაქარი
არ ჩაიგდო ისედაც მეტისმეტად ტკბილ
ჩაიში...





ყურში ვარ და ყურში მქვიან,
ვერ მიღება ვერვინ წინა,
ჩახმახი ვარ, ციბრუტი ვარ,
გრძელყურა და პაწაწინა.
ჩემს პატრონთან ვის მივუწვებ?
გასაკილად ხელს ვინ ახლებს?
იშვიათის ოსტატობით
ვიგერიებ ეზოს ძაღლებს.
მაგრამ როცა სხვა ძაღლები
მე საჩხუბრად მეწვევიან,

ვერაფერს რომ ვერ მაკლებენ,
ყურებიდან მეწვევიან.
დედილოჯან! რას უყურებ,
აღარ დადგა ჩემი ჯერი?
ჩემს ტოლებს რომ ჩხუბში ვჯობდე,
მეც ყურები დამაჭერი.
მინდა ჩქარა გავიხაროდო,
გავემართო ბრძოლის ველად,
რომ საბჭოთა გაშლილ საზღვრებს
გამოვადგე ერთგულ მცველად.



ბაიჩან

ერთხელ სიღომ ბაღში ნახა
პარაშუტით ხტომა
და მას აქეთ სულ დღელავდა,
ხტომა მოინდომა.
— უსათუოდ გავაკეთებ,
გადმოვხტები მეცა,
რა კარგია, როგორც ჩიტი
რომ მოსწყდები ზეცას,
გამოძებნა ბებოს ქოლგა,
გაიმავრა წელში,
აძვრა ჩუბად ცაცხვის ხეზე
და მოექცა წვერში.
მაგრამ ძირს რომ გადიხედა,
შიშით ელდა ეცა:
„აქ მე ქოლგა რას მიშველის,
ვაპ, თუ დაიკეცა!“

ვიდრე ვინმე დამინახავს,
სჯობს რომ გავიპარო!“
უცხად სიღოს თვალი მოჰკრა
ცუგრუმელა მარომ.
უთვალთვალეებს, ხმას არ იღებს,
აივნიდან ზვერავეს:
„როგორც ვატყობ, ეშინია,
ვერ გაბედავს, ვერა!“
სიღომ ქოლგა გადმოაგდო,
ჩამოკურდა ხელად,
მერე დასწვდა და გაშალა,
ვითომც ძლიერ ცხელა.
მარო იღვია, იცინოდა:
— მზე არ მოგეკიდოს!
დარცხვენილი სეირნობდა
„პარაშუტით“ სიღო.



„ღაღო კაცხოველი“

მოზარდ მაყურებელთა თეატრში

ხსენება შენი ჩვენს შორის
წმინდა იქნება მარადის.

ასეთი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილ პატარა წიგნაკს, რომელშიაც მშრომელმა ხალხმა აღწერა მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა. ეს წიგნაკი დაიბეჭდა ლადო კეცხოველის მოკვლის დროს — 1903 წელს.

„ლადო კეცხოველი! ეს სახელი წმინდა და მარად სახსოვარი, მარად სათაყვანოა ჩვენთვის!“ — დასძენს მშრომელი ხალხი, და მართლაც, დღეს ეს რევოლუციის თავდადებული რაინდი, რომელიც დიდი სტალინის მიერ აღმართულ ლენინურ დროშას გაჰყვა, ჩვენს ხსოვნაში აღდგა თავისი რევოლუციური წარსულით.

ლადო კეცხოველმა მგზნებარედ გაიარა რევოლუციის დიდი გზა მთელი ვაჭრებით, ის დაუღალავი და გაბედული მებრძოლი იყო მეფის წესწყობილების წინააღმდეგ. აქი ამიტომაც საზოგადოებრივი თვითმპყრობელობის გამხეცველმა და სულით ხორცამდე დაბალმა მონამ — ჯარისკაცმა საპყრობილეში 1903 წ. 17 აგვისტოს თავის კამერაში ფანჯრიდან ტყვიით გული გაუგმირა.

ვინ იყო ლადო კეცხოველი, ეს ყველამ იცის. ლადო კეცხოველი იყო კარგი მეგობარი და თანამებრძოლი დიდი სტალინისა. ლ. კეცხოველი, სკოლიდან დაწყებული, თავდადებული და კეთილშობილი რაინდი იყო რევოლუციისა.

როდესაც მაყურებელი ასეთი რაინდის სახეს დაინახავს სცენაზე, ბუნებრივია მისი

აღფრთოვანება და სიყვარული ასეთი გმირებისადმი.

ამიტომ გ. ნახუცრი შვილისა და ბ. გამრეკელის პიესას „ლადო კეცხოველს“ ჩვენი მოზარდი თაობისათვის განსაკუთრებული აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. მაყურებელს უზომოდ, თავდადებით უყვარს ლენინ-სტალინის პარტიის მთელი განვლილი გზა და მისი ერთგული შვილები.

პიესა კარგად გადმოგვეცმს ლ. კეცხოველის პიროვნებას და მის რევოლუციურ მოღვაწეობას 1900-1903 წ. წ. პერიოდში.

ლადო კეცხოველი ჩვენ გვებატება, როგორც პირველი არალეგალური სტამბის მომწყობი ბაქოში აშხ. სტალინის მითითებითა და დავალებით, თვალწინ გვიდგას, როგორც ბეჭდვისა და სარევოლუციო ლიტერატურის შექმნა-გავრცელების ორგანიზატორი და პრაქტიკული მომუშავე სტამბაში, მუშათა შორის სიტყვიერი პროპაგანდისტ-აგიტატორი, მედგარი თავდასხმელი მენშევიკური ფენისა, რომელთა პოლიტიკას უწოდებს „ბურჟუაზიის ლაქების პოლიტიკას“; კეცხოველი მოცემულია მისთვის დამახასიათებელი გულთბილობითა და მეგობართმოყვარეობით. ბოლოს ლადო კეცხოველს ვხედავთ ციხეში, სადაც ძალღონეს იკრებდა, რათა განახლებული ენერგიით კვლავ საბრძოლველად გამოსულიყო, ვხედავთ მის რევოლუციურ აგიტაციას საზოგადოებრივი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რევოლუციონერი ხელმძღვანელის გამო-
ზდილი და დავაჯაცებული. გაფიცვაზე
დასახვერავად და ამბის შესატყობად მი-
სული ვახტანგი - ვ. ნინუა მეტად ბუნე-
ბრივია, და ეჭვი არავის შეეპარება, რომ
ის არის მოწინავე, რევოლუციური სუ-
ლით გამსჭვალული გლეხი, იმდენად გუ-
ლუბრყვილოა მისი შეკითხვები და ახალ-
წლის მილოცვა.

მსახიობები ლ. რამიშვილი - ნიკო,
ვ. ქიქინაძე - სიმონ, კ. ხუნდაძე - გიორგი,
ი. ბერიაშვილი - ახმედა, ს. სტეფანოვი -
სიკო, ვ. სუხიშვილი - გრიგოლ, - ჰქმნიან
სადა, მაგარი ნებისყოფის მუშების სახეებს.

ა. კაქკაქიშვილი - გაბო ნიბლაშვილი,
როგორც ტიპი, სუსტი, შშიშარა და გადა-
გვარებული ღამურაა. მაყურებელში ის
იწვევს ზიზღსაც და სიბოალოუსაც. ა.
კაქკაქიშვილის ოსტატურ თამაშს ოლღას
ბინაზე მაყურებელი ზოგჯერ ეჭვში შეჰ-
ყავს: მართლა ჯაშუშია, თუ ლადოს
კეთილშურრველი და ნამდვილად გამაფ-
რთხილებელი?

წარსულ რევოლუციურ ბრძოლაში
ბევრი ქალი გამოიზარდა, მათი ხსენება
ყოველთვის იქნება.

პიესაში ორი რევოლუციონერი ქა-
ლია: ელო - კონკის მუშა, და ოლღა -
რკინისგზის მოსამსახურე, რომელიც ეხ-
მარება ლადო კეცხოველს ბაქოში სტა-
მბის მოწყობის საქმეში.

ა. ყიასაშვილი - როტმისტრი ლავ-
როვი - მლიქვნელი, გაიძვერა, თავაზი-
ანი, ქრელი შხამიანი გველია, რომელსაც
უნდა შემპარავი სიტკბო-შხამით ამოსწუ-
წროს კონკის გაფიცვის მეთაურის ვინა-
ობა. მ. ყიასაშვილმა ნამდვილი სახე შექ-
მნა. კარგია განსაკუთრებით ნიბლაშვი-
ლის დაკითხვის დროს, მისი ნიანგის ცრე-
მლები და გამცემლური მლიქვნელობა
ზიზღის მომგვრელია.

ვ. არეშიძე - როტმისტრი რუნიჩი -
ლავროვის ღირსეული მემკვიდრეა. ეს
თავზე ხელაღებული ახალგაზრდა, მეფის
მოხელე, ცდილობს თავისი კარიერა დაი-
წყოს რევოლუციონერ მუშათა წამებით.
ვ. არეშიძე - რუნიჩი სულმდაბლობას,
ღვარძლია ოსტატობით ამჟღავნებს ცი-
ხეში კეცხოველთან საუბრის დროს.

მ. ციციშვილი - „გიორგი“ - ჯაშუში
ყალბ შთაბეჭდილებას ტოვებს გაფიცვის
დროს. მას თავიდანვე იცნობს მაყურებელი
ვინც არის. ამის გამომჟღავნებელი არის
მსახიობის უსაქმო და გაუპართლებელი
ყალი სცენაზე, მიუხედავად „სიმთვალე-
სა“. ხოლო გაიძვერა გაქნილი ჯაშუშია
მ. ციციშვილი მესამესურათში და ოლღას
ბინაზე ჩხრეკის დროს. როცა ლავროვს
ეუბნება: „სწორედ ოსტატურად მოქმე-
დებთ, მოგილოცაეთ ამ გამარჯვებასო“,
აქ ჩანს თავშეკავებული ღვარძლი და
თვალთმაქცი ლაქუცი ლავროვისადმი,
რაც დამახასიათებელი თვისებაა მეფის
ჯაშუშებისა.

პიესა დადგმულია რეჟისორ ა. ვამრე-
კელის მიერ. აღსანიშნავია განსაკუთრე-
ბით ციხე. აქ თვითეული დეტალი და-
მაჯერებელია და ეფექტიანი. კარგადაა
მოფიქრებული როტმისტრების ლავ-
როვისა და რუნიჩის გაცოფება, გაზეთ
„ბრძოლის“ ნომრების შემოტანით გამო-
წვეული, და ლადოს გაპარვა ოლღას ბი-
ნიდან.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ვა-
სულ თვეში თავისი არსებობის ათი წელი
იხიემა. ამ ათი წლის მანძილზე თეატრს
დელი მიღწევები აქვს. „ლადო კეცხო-
ველის“ დადგმით მ. მ. თეატრმა ბრწყი-
ნვალე გამარჯვებას მიაღწია. ეს პიესა
დიდხანს დარჩება ამ თეატრის სცენაზე.



მელა და აქლები



1
• • • • •

საბა ორბელიანის¹⁾ ნათელ ხსოვნისადმი მიძღვნილი.

ავტორი.

ერთი საცოდავი დამშეული მელა ამოცუნცულდა დილით გორაკზე. მზე დაბლა იდგა და მელის ღანდიც, საკმაოდ დიდი სწანდა მიტომაც.

დასედა მელამ. საკუთარი თავი შეიცნო.

რად დიდი მხეცი გავმდარვარო, უკვირდა თავათ.

აწ რად ვეკადრებ წვრილფეხს ცხოველს, სხვილ საქონელს და დიდ ნადირს მიუყოფო ხელსა.

თუ სადმე ერთი აქლები ვნახე, წამოაქცევ და ვისაუწყებო.

იარა მელამ, იცუნცულა და იცუნცულა.

აღარც აქლები, არც რაიმე სხვა სულიერი გსად შესევდრია მთებზე შორბუნადს. მზე აიწია, დაჩაუდა მელისა ღანდიც. შებინდებისას ისევ სოფელს შემოაკითხა. სთქვა: ეგებ ვირთხას გამოურძი შევხვდეთ სადმე.

დახეთ მელის ბუდს! თრღობეში წააწედა იგი ერთ მეაქლებეს, თან მოჭეკა და მისკენ აქლები.

ახედა მელამ დამშეულმა ამ ახმას ცხოველს და გაეცინა, დანაქადი რომ გაისვენა. გამოევიდა მეაქლებე ტრახახა მელას და ხეყნის ძვალი ჩაუღეწა იფნის სწანრითა.



¹⁾ საბა ორბელიანი მე-18 საუკუნის ქართველი მწერალია, მან დაწერა შესანიშნავი იგავარაკები, შეადგინა ქართული ლექსიკონი და ავტორია სხვა მრავალი შრომისა. რედაქციის შენიშვნა.



დღეს მთელი დღე არ მოუსვენიათ ედიშერსა და გურამს. რა არ მოაწყვეს, რა არ გააკეთეს. ყველა სათამაშო გამოცვალეს და კიდევ ახალ გასართობს ეძებენ.

— გურამ, იცი, რა მომაგონდა?
— აბა რა? — უპასუხა გურამმა.
— მე ახლა შენ ფოკუსები უნდა გაჩვენო! — თავმომწონედ უთხრა ედიშერმა.
— ეჰ, ფოკუსები კი არა... შენ რა იცი ფოკუსების გაკეთება. ფოკუსებს მხოლოდ ცირკში აკეთებენ, — ეუბნებოდა გურამი და თან შინ აპირებდა წასვლას.

— მოიცადე, გურამ! აი ახლავე გაჩვენებ, ოღონდ შენც უნდა დამეხმარო გაკეთების დროს.

ედიშერი ოთახში შევიარდა და გურამი მოუთმენლად ელოდა, თუ რას გამოიტანდა იგი ოთახიდან. გურამმა ვეღარ მოითმინა და შევიდა ედიშერთან. ედიშერს ხელში გაზეთი ეჭირა და ათვალეფრებდა.

— ეს არის შენი ფოკუსი? — ნაღვლიანი ხმით ეკითხებოდა გურამი.

— აი, გურამ, ეს გაზეთი მშვენიერია, სუფთაა და დაუქმუქნავი, უმკველად გამოვა ჩვენი ფოკუსი. აბა ვცადოთ, შენ ტანისამოსის ჯაგრისი მომიტანე.

— აჰა ჯაგრისი! ახლა რაღა გინდა კიდევ?

ედიშერმა გაზეთი გაშალა და კედელს მიაფარა, შემდეგ ტანისამოსის ჯაგრისი აუსვა და ჩამოუსვა რამდენიმეჯერ, რომ

გაზეთის არც ერთი ადგილი არ დაეტოვებინა ჯაგრის წაუსმელი. გაზეთი კედელს მიეკრა. შემდეგ მოაცილა კედელს და განარებთ მიუბრუნდა გურამს:

— გურამ, შეხედე გაზეთს?

გურამი გაკვირვებით უყურებდა და თან ეგონა, არაფერი არ წაუსვამს გაზეთზე ედიშერსო. კედელთან მივიდა და გაზეთის ჩამოღება მოინდომა. ედიშერმა ხელები შეუჩერა.

— დამაცადე, დამაცადე, გურამ! ნახე კიდევ რა გაჩვენო!

— ეს სახაზავი უნდა დავდოთ ისეთ რამეზე, რომ ქანაობა შეეძლოს და არ ვარდებოდეს. ამისათვის ძალიან კარგი იქნება ჩავდოთ პატარა ჭიქაში კვერცი და ზედ სახაზავი დავდოთ ფრთხილად ისე, რომ არ ვარდებოდეს.

— არ გაჩერდება სახაზავი, — უთხრა გურამმა.

— გაჩერდება, მხოლოდ შუა ადგილზე უნდა იყოს.

ედიშერმა რამდენიმეჯერ სცადა, სახაზავი მაინც ვარდებოდა. ბოლოს სახაზავი გაჩერდა კვერცხზე. შემდეგ გაზეთს მიუბრუნდა. იგი ისევ კედელზე იყო მიკრული, თითქოს წებოთი არის დაწებებული. გაზეთის კიდეებს ფრთხილად მოჰკიდა ხელი და კედელს მოაცილა გაზეთი. მიუახლოვა გაზეთი სახაზავს და შორიახლო ატარებდა. სახაზავი მიყვებმოყვებოდა გაზეთს და ბრუნავდა კვერცხზე. გურამი გაოცებული უცქეროდა

თქცოძბრედი



1938

26

ოქტომბრული

№ 6
035060
1938 წ.



საქ. სსრ ცაკის ზავ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საბ. პ. ლ. კ. კ. ცეკას და საბ. ბანსაბკომის მართვისური ორგანო

შენაწილნი

	83
1. რიწო მარბიანი—ეთერი და არჩენები (ლექსი)	1
✓ 2. ი. ბრიშაშვილი—ოქტომბრელის სიმღერა (ლექსი)	2
3. მაქსიმ გორკი—პეპე (მოთხრობა თარგმანი ნ. ავააშვილისა)	3
4. ბიორბი შუჩიშვილი—უკდავი სახე (ლექსი)	6
5. ავთანდილ ქაშმაძე—ძია გორკის (ლექსი)	6
6. ნიკოლო ნაზარელი—უცნობი ქვეყნისაკენ (ნარკვევი)	7
✓ 7. ვ. ინგვარი—ჩვენ ოთხნი ვართ (ლექსი თარგ. ი. გრიშაშვილისა)	11
8. ი. სიხარულიძე—ცქრიალა ციალა (ლექსი)	11
9. ი. ბერბანი—გაქვალტყავებული ძროხა (მოთხრობა თარგმანი თურ- მან შანშიაშვილისა)	12
10. კონსტანტინე ბაშსაშვილი—სამურთიანი იადონი (იგავი)	14
11. სიმონ ძვარბანი—ქართული დედა (მოთხრობა)	15
12. პ. ბანიშვილი—გამოცანები გარეკანის მე-3 გვ.	
13. ალ. საჩინოელი—გამოცანები გარეკანის მე-4 გვ.	

ფურნალი გაფორმებულია მხატვარ—ვ. ბერევიანისა და გ. კახიძის მიერ.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის—ს. ვაბაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. შიშინაძე პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 15/V-1938 წ.
ხელმოწერილია დასაბუქდად 8/VI

ქალაქის ზომა 60×92
ფორმათა რაოდენობა 16 გვ. 9¹/₄×14

ყველა სადღაც იჩქაროდა
ეთერიკოს მეტი,
ყველა სადღაც მიდიოდა
გახარებულ ბედით.
ბოლოს ველარ მოითმინა:
— სად მიდიხარ, დელი?!

დედამ ყური არ ათხოვა,
გატრიალდა სწრაფად,
თითქოს იგი დაეჭებდა
მოშორების საბაბს,
გოგო მაინც არ მოეშვა,
ხელით დასწვდა კაბას...

არ უნდოდათ წაეყვანათ,
უთხრეს: „მოვალთ მალე!“
ალარც საჩუქრებმა გააღწია
ალარც „გენაცვალე“
კრემლიანი თვალი ჰქონდა,
ისე წაიყვანეს.

შინ დაბრუნდა, სიხარულის
ჰქონდა ნაპერწკალი,
ჰკითხეს, თუ რა გააკეთა
ან რა ნახა თვითონ,

თქვა: -ვიყავი არჩევნებზე,
მოვიხადე ვალი,
თვრამეტი წლის არ ვარ, თორემ
ხმას მივცემდი სტალინს!-



ი. გრიშაშვილი

ოქტომბრელის = სიმღერა

არ განმიცდია წარსულის
სიღუბლირე და ნაღველი,
დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
ახალი ქვეყნის მნახველი.

ვემსახურები სამშობლოს
ნაყოფიერი შრომითა...
მაგრამ თუ მტერი დაგვესხა
სისხლით, სიკვდილით, ომითა,—

მაშინ მეც ანახდეულად
განზე მედება წიგნები
და ჩემი ქვეყნის სახსენლად
მებრძოლთა რიგში ვიქნები.

დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
დიდ ბელადს მივე პირობა—
სამი რამ მწამდეს, მიყვარდეს:
სწავლა, შრომა და გმირობა.



პეპემ ნადვლიანად ამოიხვნეშა და მიუგო:

— ოჰ, არა. ის ვაშლები, რომლებიც ასკდა ბავშვებს, კედლებს შეასკდა, დანარჩენი კი შეესანსლეთ მას შემდეგ, როცა გავიმარჯვე და მტრებს შევეუროგდი...



ქალი დიდხანს კაპასობდა, ქოქოლას აყრიდა პეპეს გაკრეკილ თავზე. — იგი უსმენდა ქალს გულდასმით და მორჩილად, დროდადრო გააწყაბუნებდა პირს, ხანდახან ჩუმი მოწონებით წამოიძახებდა:

— ო—ო, რა ნათქვამია! როგორი სიტყვებია!

ხოლო როცა ქალი დაიღალა და გაცალა, ბიჭმა მიიძახა:

— იცით, მერწმუნეთ, ასე არ შეწუხდებოდით, რომ დაგენახათ, რა ზუსტად ვახვედრებდი თქვენი ბაღის მშვენიერ ნაყოფს იმ ავაზაკების ქუქუციან თავებს! ოჰ, ერთი დაგენახათ და! ორ სოლდოსაც არ დაიშურებდით შეპირებული ერთის ნაცვლად.

უხეშმა ქალმა ვერ გაიგო გამარჯვებულის თავმდაბლური სიამაყე, მხოლოდ რკინისებური მუშტი მოუღერა პეპეს.

პეპეს დაიკო, ძმაზე დიდად უფროსი, მაგრამ მასზე ნაკლებად ჭკვიანი, მდიდარი ამერიკელის ვილაში დადგა მოსამსახურედ. იგი მაშინვე სუფთა და ლოყაწითელი შეიქნა; კარგი ქამასმით ისე გაჯანსაღდა და გაიხსრ, როგორც მსხალნი ავეისტოში.

ერთხელ ძმა შეეკითხა:

— ყოველდღე ქამს საქმელს?

— თუ მსურს, ორჯერ და სამჯერაც დღეში, — ამაყად მიუგო დამ.

— კბილები მაინც შეიცოდენ, — ურჩია პეპემ და ჩაფიქრდა, შემდეგ კი კვლავ შეეკითხა:

— შენი ბატონი ძლიერ მდიდარია?

— იგი? ვფიქრობ, მეფეზე უფრო.

— სისულელეს თავი დავანებოთ ზამდენი შარვალი აქვს შენს ბატონს?

— ძნელი სათქმელია.

— ათი?

— შეიძლება მეტიც...

— მაშ, მოდი, მომიტანე ერთერთი, არც ისე გრძელი და თბილი, — შევედრა პეპე.

— რისთვის?

— ხომ ხედავ, როგორი მაცვია?

დანახვ ძნელი იყო, — პეპეს შარვლისაგან ძლივს მცირე რამ დარჩენოდა ფეხებზე.

— დიად, — დაეთანხმა და, — შენ გვირია ჩაქმა—დაბურვა. მაგრამ მას ხომ შეუძლია იფიქროს, რომ ჩვენ მოვიპარეთ? პეპემ დიდმნიშვნელოვნად უთხრა:

— აღაშინები ჩვენზე სულელად კი არ უნდა ჩავთვალოთ! როცა დიდისაგან იღებენ ცოტას, ეს მოპარვა როდია, არამედ მხოლოდ გაყოფა.

— ეს ხომ ყბედობაა! — არ თანხმდებოდა და, მაგრამ პეპემ ჩქარა დაიყოლია იგი, ხოლო როცა დამ სამზარეულოში მოიტანა ღია რუხი ფერის შარვალი და ის პეპეს ტანზე ოდნავ გრძელი აღმოჩნდა, პეპე წუთსვე მიხვდა, თუ რა უნდა ექნა.

— მოიტა! — თქვა მან.

ამერიკელის შარვალი ორივემ სწრაფად გადააქციეს ბავშვისათვის მოსარგებ კოსტუმად: გამოვიდა ოდნავ სრული, მაგრამ მოხერხებული ტომარა, რომელიც მხრებზე თოკებით მაგრდებოდა, სახელოების მაგივრობას კი ჯიბეები ეწეოდნენ.

კიდევ უფრო უკეთ მოირგებდნენ, მაგრამ ხელი შეუშალა დიასახლისმა: შემოვიდა სამზარეულოში და ყველა ენაზე ერთნაირად ცუდად, როგორც ეს მიღებულია ამერიკელებში, დაიწყო ფრიად უხეში სიტყვების რატრატი.

პეპემ ვერაფრით შეძლო ქალის მკვერმეტყველების ჩაქრობა. იქმუნებოდა, გულზე იღებდა ხელს, ხან სასოწარკვეთით თავზე წაივლებდა ხელს, მოქანცული ხენეშოდა, მაგრამ ქალი ვერ დაწყნარდა ქმრის მოსვლამდის.

— რაშია საქმე? — იკითხა ქაბარმა.
მაშინ პეპემ განაცხადა:

— სინიორ, ძლიერ მაოცებს თქვენი
სინიორასაგან ატეხილი ხმაური. ოღნავ
აღშოფოთებული ვარ კიდევ თქვენს მაგი-
ვრად. იგი, როგორც გავიგე, ისე ფიქ-
რობს, თითქოს ჩვენ გავაფუჭეთ შარვალი,
მაგრამ გარწმუნებთ, კარგად მადგია ტან-
ზე. როგორც ჩანს, მას ჰგონია თქვე-
ნი უკანასკნელი შარვალი წაიღე და
თქვენ ვეღარ შეიძლებთ მეტის ყიდვას...
ამერიკელმა დამშვიდებით მოუსმინა
და შეხიზნა:

— მე კი ვფიქრობ, ვაებატონო, რომ
საჭიროა პოლიციას დაეუძახოთ.

— მართლაც? — ძლიერ გაოცდა პეპე.
— რისთვის?

— რომ საპატიმროში წაგაბრძანონ...
სამინლად შეწუხდა პეპე. კინალამ
ატრდა, მაგრამ თავი შეიკავა და ვაჟ-
კაცურად წარმოთქვა:

— თუკი თქვენ ასე მოგწონთ, სინიორ,
თუკი გიყვართ ადამიანის საპყრობილე-
ში ჩასმა, — ეს ასეც უნდა მოხდეს. მაგრამ
მე ასე არ მოვიტყეოდი. ბევრი შარვალი
რომ მქონიდა და თქვენი კი — არცერთი!
რომ შარვალს გარუქებდით, სამსაც; თუმ-
ცა სამი შარვლის ერთად ჩაცმა შეუძლე-
ბელია! განსაკუთრებით ცხელ დღეში...
ამერიკელმა გადინარხარა; ხანდახან
მდიდარიც ხომ არის მზიარული.

შემდეგ გაუმასპინძლდა პეპეს შოკო-
ლადით და ერთი ფრანკი (1) აჩუქა.
პეპემ კბილით გასინჯა ფული და მალ-
ღობა გადაუხადა:

— გამაღლობთ, სინიორ! როგორც
ჩანს, ფული ყალბი არ უნდა იყოს.

პეპე ყველაზე უკეთ გრძნობს თავს,
როცა დგას სადმე ლოდებთან ჩაფიქრე-
ბული, ათვლიერებს მათ ნაბარალებს, თი-
თქოს მათზე კითხულობდეს ქვების ცხოვ-
რების ბუნდოვან ისტორიას. ამ წუთებ-
ში მისი ცრაცხალი თვალები გაფართოე-
ბულია, ღამაზად კომციმებენ, ფაქიზი
ხელები ზურგზე უწყვი და ოღნავ წახ-
რილი თავს აკანტურებს, თითქოს ყვა-
ვილის ჯამი იყოს. რალაცას ჩუმაღ ღრუ-

ტუნებს ცხვირში და ყოველთვის მოიხრის:
— ფიორინო — ო... ფიორინო...

შორიდან, როგორც უზარმაზარ მანქანა
რის ხმა, მოისმის ზღვის ყრუ ადგილზე.
პეპელები დაქრიალებენ ყვავილებზე,
პეპემ ასწია თავი და ათვლიერებს მათ,
თვალენს ნაბავს მზეზე, ოღნავ ხარბად
და სევდიანად, მაგრამ მაინც გულკეთი-
ლად, როგორც დედამიწაზე მცხოვრები
უფროსი.

— ქმა! — შესძახებს, შემოაკრავს ტაშს
და აფრთხობს ზურმუხტოვან ხელიკს.

ხოლო როცა ზღვა მშვიდია სარკესა-
ვით და ლოდებში არ არის წყალცემის
თეთრი მაქმანი, პეპე ზის სადმე ქვაზე,
გამკრიახი თვალებით იმზირება გამკვირ-
ვალე წყალში: იქ, წითურ წყალმცენა-
რეთა შორის, მწყობრად დასრიალებენ
თევზები, სწრაფად გაიფლევებენ გარნელე-
ბი, გვერდელად მიხობავს კიბო. და
სიჩუმეში, ლურჯი წყლის თავზე, ნელად
გაისმის ბავშვის წკრიალა, ფიქრორეუ-
ლი ხმა:

— ო, ზღვაო... ზღვაო...

მოზრდილები ღაპარაკობენ ბავშვზე:

— ეს ანარქისტი გამოვა!

ხოლო ვინც უფრო გულკეთილია და
უფრო ყურადღებით ეპყრობიან ერთმა-
ნეთს, — ისინი სულ სხვას ამბობენ:

— პეპე ჩვენი პოეტი იქნება...



პასკვალინო კი, დურგალი, რომელ-
საც ვერცხლისაგან ჩამოსხმული თავი
აქვს და თითქოს ძველ რომაულ ფულზე
აღბეჭდილი სახე, ბრძენი და ყველასა-
გან პატივცემული პასკვალინო თავისას
გაიძახის:

— ბავშვები ჩვენზე უკეთესნი გამოე-
ლენ და უფრო უკეთესი იცხოვრებენ!
ბევრს სჯერა მისი.

1) ფრანკი — ვერცხლის ფული, უფროს 371/2 კამაკს.



უკვლავი სახე

აბა, დახედეთ ამ სურათს:
სად შეგხვედრიათ, ვინ არის?
ტანმაღალი და ქერაა,
შუბლდაღარული, მკინარი.
ვერ მიხვდით? ეს ხომ სახეა
საყვარელ ძია გორკისა,
ვინც შეუპოვრად ებრძოდა
მონობას, ციხე - ბორკილსა.
აღრე მოუკვდა დედ - მამა,
აღრე იგემა ობლობა;
ეძებდა; ვერ პოულობდა
მშობლიურ თანამგრძნობლობას.
ჯერ კიდევ თქვენებრ პატარას
ტუტქსავდა ნათესაობა,
სადაც წავიდა, წინ დახვდა
სიმკაცრე და გულქვაობა.
წამოიზარდა... რუსეთი
მთლად ფეხით შემოიარა

და ხალხის ყოფაცხოვრება
გაიციო, გაიზიარა.
ის ხელს უწვდიდა საშველად
დაცემულს, დამცირებულსა
და წყველა - კრულვას უთვლიდა
მუქთახორების კრებულსა.
მკლავით და აზრით ძლიერი,
ის ყველას უმკლავდებოდა,
მისგან ნასროლი ისარი
დანიშნულ მიზანს ხვდებოდა.
ამხელდა, ანადგურებდა
შენიღბულ მტერთა სიაცეს,
მოწამლეს, მთელი სხეული
დაუხრეს, დაუწიავეს.
ის მოპკლეს, მაგრამ რა მოპკლავს,
რაც მის ნიჭს დაუდგენია?
იგი მარადის იცოცხლებს,
როგორც დიადი გენია.



ავთანდილ კაშაძე

ძ ი ა გ ო რ კ ი ს

რა მწერალი გამოაკლდა
ჩვენ მშობლიურ დიად მხარეს!
იგი მტრების მსხვერპლი გახდა,
დღეს შეგვიპყრო სიმწუხარემ.
ჩვენ ვიგონებთ იმის სახელს
და ბავშვებსაც გვიყვარს იგი,
ვინც შეაქო გამარჯვების
სტალინური ოქროს წიგნი.

ვინც სტალინის სიბრძნეს გაპყვა,
ვინც ხალხთ გულში დაიბუღა,
ვინც აანთო ბრძოლის ცეცხლი,
გვეყვარება იგი მუდამ!
სტალინის მზე დაგვიმციმებს,
გორკის მკვლევებს ვანადგურებთ,
და პოეტის მგზნებარ სიმებს
შეინახავს საუკუნე.





უცნობი ქვეყნისაკენ

ერთი კონტაქტული ახალგაზრდა კაცი განმარტოვებით იდგა ოდესის ნავსადგურში. ეტყობოდა, მოწყყენილი იყო: ნაღვლიანი სახით გასცქეროდა თვალუწყვდენელ ზღვას და ზვირთების ტყლაშუნს ადევნებდა თვალყურს.

— ნეტავ ვინ იქნება ეს კაცი? — გაიფიქრა ნავსადგურში მოხეტიალე მალაქი ტანის ქაბუკმა და განიზრახა მისი გაცნობა.

ქაბუკმა ფრთხილად გადადგა ნაბიჯები კონტაქტული სახლისაკენ, მაგრამ ვერ გაბედა ახლოს მისვლა, ცოტა მოშორებით დადგა. შემდეგ საზამთროსა და პურის ქაშა დაიწყო. ქაშა მალე ანად, თან უცნობს მისჩერებოდა. უცნობმა შენიშნა ეს, მიიხედა გვერდით და .. პურს დააქყერდა. ქაბუკმა იგრძნო, რომ უცნობი თვალს არ აშორებდა პურს, მიხვდა: მას ძალიან შიოდა.

— გინდათ ქაშაო? — კითხვა შემდეგ მოკრძალებით.

უცნობს პირზე ნერწყვი მოაღვა, თვლები გაუფართოვდა, სახე გაუბრწყინდა. მთელი მისი გამომეტყველება თანხმობას აცხადებდა.

ქაბუკი მივიდა მასთან, მისცა პურისა და საზამთროს ნაჭერი.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! — უთხრა კონტაქტულმა, გამოართვა პური და ორიოდ წუთში გადასასწლა.

— იცით, მეგობარო, რა საქმე მიყავით? ო, როგორ მშოიდა! ორი დღე არაფერი მექაშა.

და მერე მოკლედ უამბო თავისი ბიოგრაფია:

— ქართველი თავადი ვარ, სახელად შაქრო მქვია. ვმსახურობ რკინიგზაზე. ჩემი მამა კავკასიაში ცნობილი მემამუ-

ლეა, ძალიან მდიდარია, ძალიან. მეც შეძლებული ვიყავ, რა თქმა უნდა. მქონდა აუარებელი ნივთი, მაგრამ ერთმა ბოროტმა ამხანაგმა გამქურდა და ოდესისაკენ გამოიპარა. გავიგე, დავედევნე. აქ მის კვლასაც ვერ მივაგენ. დავრჩი უფულოდ, უსახსროდ, ახლა ვშიშვლილობ, უკან დაბრუნების საშუალებაც არა მაქვს. იქნებ შენ გქონდეს ფული?

— მე? მე სრულიად ხელცარიელი ვარ.

— ჰო, ძმობილო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა მეკითხვა: შენი სახელი?

— ალიოშა.

— გვარი?

— პეშკოვი. დიად, ალიოშა პეშკოვი ვარ. არც დედა მყავს, არც მამა. დავეხეტებო სხვადასხვა ქალაქში, სოფელში. თავს ძლივს ძლივობით ვიჩინებ. ვცხოვრობ ასე, გაჭირვებით.

ახლა აი, ძმობილო, მე რას გირჩევ: წადი პოლიციაში და ითხოვე უფასო ბილეთი ბათუმამდე.

— პოლიციაში? არა, პოლიციაში არ წავალ! — დაილულულა შაქრომ.

— რატომ?

— რატომ? აი რატომ: სასტუმროში ვცხოვრობდი. პატრონმა ფული მომთხოვა, მე ვერ მივეცი, არ მქონდა. შემდეგ კვლავ მომთხოვა. მაინც ვერ მივეცი. იგი დამემუქრა. მე გავბრაზდი და ვცემე. არ მახსოვს, რამდენი დავარტყი: ერთი, ორი, სამი, ოთხი თუ მეტი...

— მაშ რევენ შევაგროვოთ ფული, — დინჯად თქვა ალიოშამ.

ალიოშა პეშკოვი მართლაც შეუდგა ფულის შეგროვებას: ხან კაპიკს იშოვიდა, ხან შაურს, ხან კიდევ აბაზს. მაგრამ ფული ისევ იხარჯებოდა, — შაქრო ღორმუცელსავით ქაშდა.



გორკი თავისი ვაით.

დალონდა პეშკოვი, არ იცოდა როგორ ეშველა მეგობრისათვის. ზამთარიც ახლოვდებოდა, ოდესაში დარჩენა შეუძლებელი იყო.

— იცით, რა ექნათ? — სიხარულით წამოიძახა ერთხელ ალიოშამ, — მოდი, ფეხით გავსწიოთ! თუ გზაში მგზავრი ვერ მოვძებნეთ, მაშინ მე თვითონ წამოგაყვებით თბილისამდე.

შაქრომ დანაწიებით გადახედა თავის ლამაზ ფეხსაცმელებს, კრელ კოსტუმს და გულის სიღრმიდან ამოიოხრა. მაგრამ რას იზამდა, სხვა საშუალება არ იყო, ბოლოს თანხმობა გამოუცხადა ალიოშას.

სულ მალე მათ ოდესა დასტოვეს.

მიდიოდნენ ასე ჩვენი მგზავრები. გზაში ათასი უბედურება ხდებოდათ, მაგრამ იმედს არ კარგავდნენ. აი, მივალთ ქალაქ ნიკოლაევში და სამუშაოსაც ვიშოვითო, — ლაპარაკობდა ალიოშა.

შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ ნიკოლაევსაც მიაღწენ. იკითხეს სამუშაო, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა.

გულისტკივილით გამოემშვიდობნენ ნიკოლაევს, გაიარეს პერეკობი, სიმფეროპოლი და იალტისკეს გაემართნენ.

მიალწის იალტას. ალიოშა მოიხიბლა ლამაზი სანახაობებით. კმაყოფილი იყო,

აქ სამუშაოც იშოვა და ქირაც წინასწარ მისცეს. ამ ფულით მან იყიდა პური, ცხაობა და ხორცი და შაქრით, ჩაქვებით თვითონ კი სამუშაოდ წავიდა. რამდენადაც იდნ დაბრუნდა, დაინახა, რომ შაქროს ყველაფერი შეეკაშა. ეწეინა ალიოშას, მაგრამ მისთვის არაფერი უთქვამს. შაქროს სულ მუქთახორასავით იტყვოდა: ალიოშა მუშაობდა, ის კი ჯამდა.

— ვა, გვიკ ვარ ვიმუშაო! — თავისთვის ამბობდა შაქრო, — წამომიყვანა, ინებოს და მაკამოს. მე ვიმუშაო, ვიწვალო და მოვკვდე? მერე რამდენს იტირებს დედა, იტირებს მამა...

ცხოვრება გაქირდა. ალიოშა კვირაში ძლივსა აკეთებდა მანეთს. თან ზოგიერთ ქალაქში არ უშვებდნენ მოხეტიალე მგზავრებს, უწყალოდ სდევნიდნენ. აი, ერთხელ ქერჩში კინალამ დააპატიმრეს, მაგრამ მოხერხებულად გაიპარნენ და დაენაღნენ პოლიციას. რა უნდა ექნათ, სად გაქცეულიყვნენ?

და ისევ ალიოშამ მოიფიქრა:

— ღამით სრუტეზე გადავიდეთო.

ბნელაში წყნარად მიუახლოვდნენ საბაქოს, სადაც წყალში რამდენიმე ნაეი ქანაობდა. ფრთხილად, სულგანავით მივიდა ალიოშა პალოსთან, მოხსნა ერთი ნაეი და ზღვის გულისაკენ შეაკურა. ქარი ქროდა, ზღვა დღლაგდა.

ბევრჯერ კიდევ კინალამ დაიღუპნენ გამოუცდელი მენავეები. მაგრამ მათ ბედლი სწყალობდა: უხიფათოდ გაიარეს გზა და განთიადისას ხმელეთს მიაღწენ.

თავიდან ფეხებამდის გაწუწულები გადმოვიდნენ ნავიდან. სწოროდ ამ დროს ძაღლების ყფა მოისმა. მოშორებით ცეცხლი ჩანდა. ცეცხლის გარშემო მწყემსები ისხდნენ. მგზავრები მივიდნენ მათთან.

— საიდან მოდიხართ, საით მიდიხართ? — იკითხეს.

ალიოშამ დაიწყო ამბის თხრობა. შაქრო კი სიცივისაგან ძაგძაგებდა.

— გაიძვრე სველი ტანისამოსი — ურჩია მოხუცმა მწყემსმა, — და ცეცხლის გარშემო ირბინე.

შაქრომ დაუჯერა მოხუცს, გაშიშვლდა და სირბილი დაიწყო. შემდეგ წუთით შედგა.

— ტაში, ტაში! — დაიძახა და ლეკური გააჩაღა.

შაქრომ ტანსაცმელი გაიშრო. მგზავრებმა უკვე დაიხვეწეს და წასვლა დააპირეს.

— შორს მიდიხართ? — ჰკითხა მათ მოხუცმა.

— თბილისამდის.

— ოო, დიდი გზაა!

* * *

იმგზავრეს, იმგზავრეს და შემდეგ კაცკაცის ახლოს, ლეკების ერთ სოფელში ამოჰყვეს თავი. იქ ორ დღეს წაიშუშავეს და გამოემშვიდობნენ სოფელს.

გზაში შაქრომ უბიდან ლეკური ნაქსოვები ამოიღო და თავმოშრონდ თქვა:

— ხედავ, რა ვიშოვე? გავყიდოთ და ფულებს ავიღებთ.

ალიოშამ არ მოუწონა თანამგზავრს საქციელი, ხელში ეცა და ნაქურდალი გადაყარა. განაწყენდა შაქრო, აღშფოთდა და ალიოშას ცემა მოუნდომა. პეშკოვმაც არ დაიხია უკან. გაიმართა ჩხუბი, იმდენი ურტყეს ერთმანეთს, იმდენი, რომ ორთავენი კარგა გვარიანად დაიქანცნენ. ბოლოს ჩხუბს თავი დაანებეს და გზა განაგრძეს.

— რისთვის ვცემდით ერთმანეთს? განა შენ მოგპარე? — ამბობდა შაქრო.

გაიარეს დარიალის ხეობა, გაიარეს გულაური... შაქრო გამხიარულდა:

— კიდევ ორი დღე, და თბილისში ვიქნებით, შინ მივალ. შემეკითხებიან: სად იყავი, როგორ იმგზავრეო? მეც ვუპასუხებ: ვიყავი ყველგან, ვნახე ყველაფერი. შემდეგ აბანოში წავალ. ახალ ტანისამოსს ჩავიცვამ, გავივლ-გამოვივლი... მამაჩემს ვეტყვი: აი, ეს იყო ჩემი ძმა, მასწავლიდა, მაქმედა და თან მცემდა ეს ძალი. მამაჩემო, აქამე მას, მთელი წელიწადი აქამე...

რა გინებათ სადილად — ჩახოხბილი ან ჩიხითმა, სამი ბოთლი ღვინო? შამფურზე შემწვარი წვადი! რა გინდა სულა და გულაო! იცხოვრე ჩვენთან, ჩვენთან იყავი...

ამ საუბარში მტყუთსაც მიუახლოვდნენ. შაქრო უკვებ დალონდა:

— იცი, მე ახნაური ვარ და არ შემიძლია ასე დაგლეჯილი მივიდე შინ. მე მრცხვენია, საღამომდის აქ დავიჯდები.

მართლაც, ძველი სახლის ნანგრევებს ამოეფარნენ, დაღამებას უცდიდნენ.

დაღამდა, ქალაქი გაჩირაღდნდა.

ამ დროს მან ორი განსაკუთრებული სტუმარი მიიღო. ერთი მათგანი ქუჩაში შედგა და თქვა:

— ალიოშა, ხედავ ხილს? ეს ვერის ხილია. აქ დამიკადე. ერთ სახლში შევალ, ჩემი მშობლების ამზავს ვიკითხავ და ისევ მალე მოვბრუნდები.

— მალე?

— ჰო, სულ მალე.

და შაქრო გაქრა.



მაქსიმ გორკი.

იღვა ალიოშა ხიდთან და უცდიდა თანამგზავრს, იგი კი არსად ჩანდა.

მოულოდნელად ქუჩაში ხმაურობა ატყდა. შეიქნა ჩხუბი. ვილაცას სცემდნენ. საწაული კაცი ყვიროდა და შეეღას ითხოვდა. ალიოშას აღარ მოუთმინა გულმა, ჩადგა მოჩხუბრებს შუა და სუსტს გამოეჭომავე.

ხმაურობაზე პოლიციელებიც განდნენ, მოჩხუბრები და გამზავებლებიც უბანში წაიყვანეს. იქ ყველაზე უფრო უხივად ალიოშა ეჩვენათ.

— ვინა ხარ? საიდან ხარ? ა! შენ გეკითხები, ბოსიაკო! რად ჩხუბობ ქუჩაში? აა, ხომ არ გინდა, რომ... — უყვიროდა ალიოშას პოლიციელი.

— ვინ გიცნობს აქ? აღბათ არავინ!

— მიცნობს მიხაილ იაკობისძე ნაჩალოვი

— ნაჩალოვი?! — გაიკვირვა პოლიციელმა.

პოლიციელის თანხლებით ალიოშა გადაგზავნეს ნაჩალოვთან. ნაჩალოვმა იგი გულთბილად მიიღო, გაათავისუფლებინა და მალე სამუშაოზეც მოაწყო მთავარ სახელოსნოში, კანტორის მოხელედ.

თბილისში ალიოშა შედარებით ადამიანურად ცხოვრობდა: მუშაობდა, კითხულობდა, წერდა, სწავლობდა, კავშირი ჰქონდა რევოლუციონერებთან, აფასებდნენ მის ბრწყინვალე ნიჭს.

ყველაზე უფრო მეტად იგი მოსწონდა რუსეთიდან გადმოსახლებულ კალიუჩნის.

ამიტომ მან წინადადება მისცა ალიოშას გადმორი ჩემს ბინაზეო.

პეშკოვი დათანხმდა... ერეკლე... სტუმარი და მასპინძელი უბრობდნენ. ალიოშას ნაამბობი მომხიბლველად ეჩვენებოდა.

— აბა, ერთი, მიაშე რამ შენებურად! — უთხრა ერთხელ მასპინძელმა სტუმარს.

ალიოშამ უამბო ბრიკისა და რადეს შესახებ.

— ეს უთუოდ უნდა დასწერო, უნდა დასწერო! — აღტაცებით წამოიძახა კალიუჩნიმ მოთხრობის დასასრულს. ხელი სტაცა ალიოშას, ოთანში შეამწყვდია მიაწოდა ქალაქი და კალამი, დაკტა კარი და მტკიცედ უთხრა:

— ვიღრე არ დასწერ, კარს არ ვაგვიღებ.

კალიუჩნი გულისფანტკალით ელოდა შესანიშნავ მოთხრობას. ხშირად მიაყურადებდა კარზე: წერს თუ არა პეშკოვიო.

პეშკოვი მართლაც წერდა; მალე მზად იყო მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“.

აღფრთოვანებულმა კალიუჩნიმ მოთხრობა „კავკაზის“ რედაქციაში გაარბენინა და გადასცა ნაცნობ ჟურნალისტს, გაზეთის თანამშრომელ ცვეტნიცკის.

1892 წლის 12 სექტემბერს „კავკაზის“ ნომერში მკითხველებმა ნახეს დიდებული მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“.

ეს იყო გენიალური მწერლის პირველი ნაწარმოები.



ჩვენ ოთხნი = ვართ

თუ გაბედავს ვინმე მტერი,
 რომ ხმელეთით მოგვეპაროს, —
 უფროსი ძე საზღვარზე დგას,
 მტერს გაუთხრის შავბნელ ხაროს.
 თუ მალლიდან მოვა მტერი
 და არაფერს დაერიდა, —
 შუათანა მტრინავია,
 მოსპობს იმავ ჰაერიდან.
 თუ გაჩნდება ზღვაზე მტერი
 და აამღვრევს ზვირთთა ჩქერებს, —

უმცროსი ძმა ფლოტს სდარაჯობს,
 დუშმანს ხელად მოიგერებს.
 თუ აღდგება მთელი ხალხი
 საბრძოლველად ვერავ მტერთან, —
 მე, ბებერი მათი დედა,
 ჩემს შვილებთან წავალ ერთად;
 შევუკერავ, მოვეუხარშავ,
 დედას არ აქვს არვის შიში,
 ჩვენ ოთხნი ვართ, დიღო სტალინ,
 მიითვალე ანგარიშში!

თარგმანი ი. ზაჩუაშვილისა


ილია სიხარულიძე



ცქრიალა = ციალა

პაწაწინა ციალა
 კობტაა და ცქრიალა,
 დილით ადრე წამოფრინდა,
 ბრუნავს, როგორც ბურილა:
 ფეხსაცმელი გაიწმინდა,
 სულ მთლად გაიპრიალა.

ხელი — პირი დაიბანა,
 კბილი გაიკრიალა;
 გაკვეთილებს იმეორებს,
 ლექსი ჩააწკრიალა,
 სკოლისაკენ წაქუნტულდა,
 კაბა წააფრიალა.





გაძვალტყავებული ძროხა

მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მესა-
ზღვრე ვიყავ. ის იყო მიველ სადარაჯო-
ში, — დაიწყო კოლაბ. — უღვაში არ მქონ-
და აბუსუსებული...

— ახლა გაქვს? — შეაწყვეტინა ბობამ.
— მეზრდება, მაგრამ ვიპარსავ. ჰო და,
აი, გესმის, როცა ჯერ კიდევ წვერს არ
ვიპარსავდი, ერთხელ, ზამთრის დასაწყ-
ისში, პირველი თოვლი რომ ჩამოც-
ვივდა, რაზმის უფროსმა წინადადება
მომცა მასთან ერთად სანადიროდ წაე-
სულიყავ. მაშინ ჩემი უფროსი ამხ. ავ-
დევეი იყო: ახოვანი, ჯანღონით სავსე,
ლამაზი, გულადი ადამიანი, ამასთან ძლი-
ერ მოხერხებული და ჭკვიანი. მოხერხე-
ბულობაში ვერაერინ აჯობებდა. ამიტომ
იყო, რომ ვერცერთმა მტერმა ვერ შეს-
ძლო ჩვენი საზღვრის გადმოლახვა. შე-
უძლებელი იყო გადმოსვლა და მით უმ-
ეტეს ამხანაგ ავდევეის მოტყუება.

ჰოდა იმას ვამბობდი... მივიღივართ მე
და ავდევეი და ვათვალისწინებთ, იქნებ სა-
დმე კურდღელი გამოჩნდესო.

უცებ ამხანაგი ავდევეი შეზერდა და
მეუბნება:

— წინ დაიხედე, ამხანაგო ჩისტოვიჩო,
თოვლზე საეჭვოს ვერაფერს ამჩნევ?

მე კარგა დავათვალისწინებ და ვუპასუხე:

— არა, ამხანაგო მეთაურო, საეჭვოს
ვერაფერს ვამჩნევ. მე ვხედავ მხოლოდ
თოვლს და ძროხის კვალს. ალბათ, აქ
ძროხამ გაიარა.

— მეტს ვერაფერს ამჩნევ?

— მეტს ვერაფერს, — ვუპასუხე მე.

ამხანაგმა ავდევემა აღმატებულად შემომ-
ხედა, გაიღიმა და მკითხა:

— სად ნახე ასეთი გაძვალტყავებულ
წვრილი ძროხები, რომელთაც შეიძლოა
ამ ხეებს შუა გავლა? ამ ფიქვებს შორის
მხოლოდ კაცს შეუძლია გაიაროს.

— ეგ ძალიან კარგი, მაგრამ კაცი ხომ
არ შეიძლება ძროხის ჩლიქებზე იდგეს.
კაცი ადამიანის ფეხებით დადის, აქ კი
ჩლიქების კვალია.

ამხანაგმა ავდევემა გაიცინა და თქვა:

— ყველაფერი ხდება ამ ქვეყანა. აქ
უსათუოდ მტერმა გაიარა. ჩვენ უნდა
შევიპყროთ იგი. როგორც ჩანს, მას სულ
ცოტახნის წინ გაუვლია: ხედავ, თოვლის
ფიფქს კვალი ჯერ არ დაუფარავს. გავი-
ქტეთ, ჩვენ მას დავიჭვრთ. აბა, ერთი
ორი!

ჩვენ გავიქტეთ.

მე საერთოდ სწრაფად დავრბივარ, მა-
გრამ ჩემ სიკოცხლეში ისე სწრაფად არ
მირბენია. საკვირველი ის იყო, რომ ამ-
ხანაგი ავდევეი ჩემზე სწრაფად ვარბო-
და.

დიდხანს ვირბინეთ.

უცებ ვხედავთ, ჩვენ წინ კურდღელი
გარბის. შეიძლება ესროლოს კაცმა, მა-
გრამ მისთვის ვისა სცალიან. ამასობაში
პატარა ველზე გამოცვივდით. ვხედავთ,
ჩვენ წინ კურდღელი მირბის, კურდღლის
წინ კი კაცი გარბის, რაც ძალი და ღო-
ნე აქვს.

— შესდექ! — დაუყვირა ამხანაგმა ავ-
დევემა და ბუდიდან ამოიღო ნაგანი.

კურდღელი მიიმაღა. კაცი კუნძს ამ-
ოეფარა და სროლა დაგვიწყო. ვახანებ
ძლიერ ბევრი ჰქონდა, მთელი დღე ის-
როდა.



ჩვენ სიტყვით გავიყინეთ, რადგან პალტოები სირბილის დროს გზაში გადავყარეთ.

— ამ ყოფაში ჩვენ სურდო შეგვეყრება. წავალ, მტერს ზურგიდან მოვუვლი, — წარმოთქვა ამხანაგმა ავდევემა, შეხოლარა ვედის და მალულად შევიდა ტყეში. ამასობაში ჩამოხნელდა.

გაიარა ნახევარმა საათმა... საათმა... ის კი არა ჩანს. მტერიც აღარ ისვრის. მე ვეწუხები.

უტეხე შემომგება:

— ამხანაგო ჩისტოვიჩი!
მოვიხედე. ორ კაცს მოვავლე თვალი, მეთაურ ავდევესა და მტერს. ამხანაგი ავდევევი მუუბნება:

— მე მას ცოცხით მიუახლოვდი ზურგიდან. ნაგანი დაეუმოხნე და გავაფრთხილე: თუ გაინძრევი, მოგკლავ მეთქი. კარგი კურდღელია, არა?

მართლაც რომ კარგი კურდღელი იყო: აყლაყუდა, გაბრაზებული, შიშისაგან გაფითრებული. თვალები მგელ-



ივით უბრალებდა. თითქოს დაყვირება უნდოდა.

წაიყვანეთ სადარაჯოში, გზად გაიხილა ნი პალტოები და ქუდები ავკრიფეთ/როცა სადარაჯოში მივედი შევაშინიეთ, რომ მტერს ჩემებზე განზრახ გაყვებულნი ძროხის ჩლიქები ჰქონდა მიმაგრებული.

ბოლოს გამოვიდა, რომ კურდღელს სანადიროდ წავედით, ძროხას დავედუნეთ და კაცე დავიკირეთ. ეს კაცი მგელზე უარესი აღმოჩნდა.

თარგმანი თურქულად შანშიაშვილისა

ქონსვანვინა გამსახარლია

სამფრთხე იაღონი



II

ივით

ნაფერები ბავშვი გაკირვეულდა; ახირების მიზეზი ჰკითხეს.

ხის ცხენი შემიკახმეთ და აქ მომგვარეთო.

შეუკახმეს, მიპგვარეს ხის ცხენი.

კიდევ რა ვატირებსო?

იაღონების გალია მომიტანეთ და აქ დამიდგითო.

იაღონების გალიაც მიუტანეს და წინ დაუდგეს.

ახლა რაღაღ სტირიო?

ახლა ის სამფრთხიანი იაღონიც აქ მომგვარეთ, წუხელღამ რომ გაფრინდაო გალიიდან.

უკანვე წაიღეს ხის ცხენიცა და იაღონების გალიაც, ხოლო ბავშვი მაგარად დატუქსეს.

ამის შემდეგ აღარც უტირნია კირვეულს.



ქართველი ღედა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ამბავი მოხდა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში. იქამდე საქართველო დაყოფილი იყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. სამეფონი: ქართლი, კახეთი და იმერეთი. სამთავრონი: სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი და სამცხე — საათაბეგო (მესხეთი). ეს სამეფო — სამთავრონი სწორად კინკლაობდნენ ურთიერთ შორის და მით ახარებდნენ ქვეყნის მტრებს. მტრები კი იყვნენ მძლავრი ირანი, ხოლო სამხრეთითა და დასავლეთით კიდევ უფრო მძლავრი თურქეთი. ესენი სწორად გზავნიდნენ დიდ ჯაშუებს საქართველოში, არბევდნენ ხალხს, ადებდნენ მიმე ხარკს და ასობით მიჰყავდათ ტყვედ ლაშაზი ქაღვავანი.

იმ ხანებში საქართველოს სამეფო-სამთავროებმა ვერ შესძლეს გაერთიანება. გაერთიანების ნაცვლად ქართველი მეფენი ეძებდნენ ღონიერ მფარველსა და მოკავშირეს. მათი ყურადღება მიიპყრო რუსეთმა.

პართლაც, კახეთის მეფე ლეონმა და შემდეგ მისმა შვილმა მეფე ალექსანდრემ იწყეს დესპანთა გზავნა რუსეთში დიდი ფეშაკებით. ისინი სთხოვდნენ მოსკოვის მეფეს მფარველობასა და ჯარებით დახმარებას.

ეს ამბავი გაიგო ირანის მეფემ შაჰაბაზმა. იგი გაბრაზდა, იხმო ადრევე მძველად წაყვანილი კახეთის მეფის ვაჟი მამადინი კონსტანტინე და უბრძანა: „მამაშენი ალექსანდრე და მისი შვილი გიორგი მალატობენ, „გიაურ ურუსებს“ იწვევენ საქართველოში ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ წადი შენს ქვეყანაში, მოკალ მაშაშენი და შენი ძმა, დაიპყარ კახეთი. მისი მეფობა შენთვის დამილოცნია. თან გატან საუკეთესო მეგრძოლით, 15 ათას კაცისაგან შემდგარ ჯარს. ახლა კი შემომფიცე, რომ მუდამ ერთგული იქნები ჩემი და ბეჯითად შეასრულებ ჩემს ბრძანებას“.

კონსტანტინემ შეჰფიცა ერთგულება და ძლიერი ჯარით გამოემართა ივრიაში.

შემოვიდა ჯარით ქიზიყში და სასწრაფოდ მიიწვია მამა და ძმა, ვითომ მოსალაპარაკებლად. ესენიც ენდნენ მას და მცირე ამალით ეწვივნენ კონსტანტინეს ბანაკში. აქ მამა-შვილს შორის მოხდა ცხარე კამათი. მამის კონსტანტინე გამოვიდა თავისი კარვიდან და შეგზავნა მკვლევლები. ამით მოჰკლეს მოხუცი მეფე ალექსანდრე და მისი ვაჟი გიორგი, თანაც გაჟლიტეს მათი ამალა.

თავზარი დასცა მთელ კახეთს ამ საშინელმა ამბავმა. კონსტანტინეს საქციელმა ყველაზე მეტად გაამწარა მეფის რძალი, დაქვრივებული ქეთევანი, ეს ფრიად სათნო, მხნე და შამაკი ადაშიანი. მან სასწრაფოდ შეკრიბა 5000-მდე საუკეთესო მეგრძოლი და მიმართა შემდეგი სიტყვით:

— ძმებო, კახეთის მამაცნო! ხომ სცანით ყველამ, რა საშინელებაც მოხდა ქიზიყში! შაჰაბაზის ყმამ კონსტანტინემ ამ ორი დღის წინ დაიბარა მეფე ალექსანდრე და მისი ვაჟი და მოჰკლა ვერაგულად. ბოროტმა არსებამ მამისა და ძმის უმანკო სისხლით შეიღება ბინძური ხელები. ამჟამად, ჩვენს კარზე მომდგარი ირანის ჯარით, ის დაპყრობას ემუქრება მთელ კახეთს, კახეთის ხალხს გვემუქრება დაგვადოს კისრად მონობის მძიმე უღელი... ძმებო, ვიყვნეთ მამაცი! მივბაძოთ ჩვენს ქებულ წინაპრებს! ვეკეთოთ მოსიხლევ მტერს თავგანწირვით! დავამარცხოთ იგი, არ შევეუშინდეთ სიკვდილს! თავი შევსწიროთ სამშობლოს თავისუფლებას! დღეს მეც, ქართველი ღედა, თქვენთან მოვდივარ ბრძოლის ველზე, თქვენთან ერთად მახელით ხელში... მაშ გაუმარჯოს ჩვენს ტურფა კახეთს!

გაუმარჯოს მამაც შვილებს! გაუმარ-

ჯოს საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს ჩვენს გამირ დედოფალ ქეთევანს! — შესძახეს აღტაცებით მხედრებმა და იშიშვლეს ხმლები.

— გაგვიძებ წინ, ქვეყნის ერთგულო დედა! მზად ვართ ყველანი დავესხათ მტერს, დავამარცხოთ იგი, ან თავი შევსწიროთ ხალხისა და სამშობლოს თავისუფლებას! — გაიძახოდნენ აღფრთოვანებით მხედარნი. ისინი შესხდნენ ცხენებზე, დარაზმდნენ სწრაფად, ეშურებოდნენ ბრძოლის ველისაკენ... მათ მთავარსარდლობდა კახეთის გმირი დავით ჯანდიერი. ელოდნენ ნიშანს.

ქეთევანი უმზერდა ამ სურათს, უბრწყინავდა მშვენიერი სახე, თვალთაგან ეფრქვეოდა სიხარულის ცრემლები. მისი გული წინასწარ გრძნობდა გამარჯვებას... იგი სწრაფად შეჯდა ცხენზე, გასწორდა წელში, გადახვდა მხედრებს და მისცა ნიშანი.

დაიძრა კახეთის მამაცი ჯარი საომრად. მათ წინ მიაგელვებდა თეთრ არაბულ მერანს თეთრად მოსილი ქართულ დედა... მის გვერდით ფრიანობდა ზორბა მამაციის ხელში სამეფო დროშა... დიდხანს გუგუნებდა ჰაერში სიმღერის გამირული პანგები...

აშუადღა. შემოდგომის საამო მზე დასტრფოდა ზერებითა და ბალებით შემკულ ალაზნის ველს. საფერავ რქაწითლის მწიფე მტევნები ალამაზებდნენ ვაზნარებს, ულიმოდნენ მგზავრებს, იწვევდნენ საკრეფად.

კიდევ ცოტა ხანი, და სოფ. ველისციხის ბოლოს გამოჩნდა თეთრი კარვები, მტრის ვრცელი ბანაკი. სიფრთხილის გამო აქ შეჩერებულიყო იუდა-კონსტანტინე. იგი მეტად შეაფრთხო და გააოცა

კახთა ჯარის გამოჩენამ. ასე მალე არ მოელოდა მოპირდაპირეს.

მტრის დანახვაზე ქეთევანმა შეაჩერა თავისი მხედრობა, მოაწყობა მხედრობა თათბირი, თუ როგორ და რამხრივ დასცემოდნენ მტერს.

ამ დროს ირანელთა ბანაკს გამოეყო წითელ ცხენზე მჯდარი ერთი ახოვანი მხედარი, მდიდრულად ჩაცმულ-შეიარაღებული. ეს იყო თვით კონსტანტინე. იგი მიუახლოვდა კახეთის ჯარს. მან შორითვე შეიცნო ქეთევანი და სურდა მასთან საუბარი. მაგრამ ჩამწარდა წადილი განწირულს. კონსტანტინეს გზაში დახვდა ჩასაფრებული ორი ძმა — ვაჩნაძეები და აკაფეს ხმლით.

ასე დაამთავრა თავისი სამარცხენო არსებობა მამისა და ძმის მკვლელმა.

კონსტანტინეს მოკვლამ ააფრთოვანა კახნი, იმავე დროს თავზარი დასცა ირანის ჯარს.

გალაღებული კახნი სამი მხრივ ეკვეთნენ მტერს. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა შუბით, დამბაჩით, ხმლითა და კალღით. დავით ჯანდიერის, ნოდარ ჯორჯაძისა და სხვა სარდლების გამირული იერიშები და მქუსარე შეძახილი შიშის ხარს სცემდა ირანელთ. ისინი მალე დამარცხდნენ და თავს უშველეს გაქცევით. კახნი დაედევნენ და უწყალოდ ავტეტდნენ.

რიცხვით სამჯერ მეტი მტერი დამარცხდა. გამარჯვებულთ დარჩა ირანელთა მთელი ბანაკი, უამრავი სურსათი და იარაღი, აგრეთვე ჩაიგდეს ხელში მრავალი ტყვე.

იშვებდა, ზემოზობდა კახეთი და ქიზიყი. ისინი გადაურჩნენ საშინაო მტრის დარბევას, მონობის მძიმე უღელს, და ეს საგმირო საქმე ჩაიდინა ქვეყნის ერთგულმა დედამ ქეთევანმა...



ჩვენ, მე-18 სრული საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეებმა 1937-38 სასწავლო წელს ბევრი რამ ვისწავლეთ მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ვისწავლეთ ჩვენი საყვარელი მწერლების მოთხრობები და ლექსები. ზოგიერთი მწერლების ნაწარმოებებს შინ ვკითხულობდით.

ჩვენ ვისწავლეთ აგრეთვე ხალხური შემოქმედების ნიმუშები. გავიგეთ რამდენი შაირი, ლექსები, გამოცანები, ანდაზები და ზღაპრები მოგვცა ხალხმა. ლაპარაკი გვქონდა აგრეთვე ტრუმორწმუნეობაზე, როგორ ატყუებდა მეფის მთავრობა ღარიბ მუშებსა და გლეხებს, როგორ იღრჩობოდა მშრომელი ხალხი გაუნათლებლობის ქაობში.

გავეცანით საზღვარგარეელი ბავშვების ცხოვრებას, გავიგეთ, რა პირობებში არიან ისინი და როგორ გაქირავებას განიცდიან. გარდა სხვადასხვა მწერლის ნაწერების კითხვისა, ჩვენც ვწერდით პატარა მხატვრულ მოთხრობებს და ამით ვიმდიდრებდით ენას.

ახლა მე-2 კლასში გადავედი. ჩვენ კლასში ბევრი ფრიადოსანია. ამთში მეც ვურევივარ.

29 მაისს ჩვენ საღამო მოვაწყეთ. მე მივსალამე ჩვენი ოლქის დეპუტატობის კანდიდატს ლუბა შენგელიას და მივა-



რთვი თაიგული. პიესაში ვთამაშობდი გერმანელი ბიჭის როლს. ვკითხულობდი ჩემს საკუთარ მოთხრობას.

ახლა სოფლებში მივდივართ დასასვენებლად და ერთი წუთითაც არ გვაფიქვდება ძია ლავრენტი ბერიას სიტყვები: „მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე — ეს არის სწავლა ფრიადზე“.

ახალ წელს ენერგიით საესე დავბრუნდებით სკოლაში და დავწავლებით სწავლას.


თბილისის მე-18 სკ. II-კლ. მოსწავლე გურამ ახათიანი



1. ის რა არის, სულ რომ დადის, არ ისვენებს, არ იძინებს?
2. ერთი დადის, ერთი დახტის, მესამე ძლივს მიბაჯბაჯვებს.
3. ტყეში იშვა, ტყეში ცხოვრობს, თავზეც ხე ამოსვლია.
4. გათენდება — გამოჩნდება, საღაც წავალ, თან წამყვება.

- არც ხმას იღებს, არც კვალს ტოვებს, დაღამდება — მიმატოვებს.
5. არც თერძია, არც ხარაზი, ნემსები აქვს უთვალავი.
6. უენო ამბავს მოპყვება, ნეტავი მოგასმენია! იმისგან ცოდნის შეძენა არ არის მოსაწყენია.

ღ ა ბ ი რ ი ნ გ ზ ი



კურდღლეებმა ლხინი გამართეს. სტუმრად მიიწვიეს თავიანთი მეგობარი კურდღელი — იაგორი. აი, მიუახლოვდა ტყეს იაგორი და შეჩერდა. რომელი ბილიკით წაივდეს? ტყეში საშინელი მზეცები ცხოვრობენ. თუ მათ ჩაუვარდება ხელში, საბრალო კურდღელს თავისი დახამხამებაში შესასწავლენ. თუ მონადირეს წააწყდება სადმე, ესეც სახიფათოა!

იაგორი კვიანი კურდღელი იყო. მან მოახერხა გვერდი აეკცია მონადირისა და მტაცებელი ცხოველებისათვის.

მონახეთ ის ბილიკი, რომლითაც კურდღელმა იაგორმა მიიღწია თავის მასპინძლებთან წვეულებაზე.

აღებულია „ჩიფიდან“.

გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

I

გარეული ფრინველია, მაგრამ ვხვდებით შინაც გაზრდილს, ბოლო უგავს ღიდ მარაოს, მოხატულს და კოხტად გაშლილს. მუდამ გინდათ, რომ უცქიროთ, ლამაზია, საკვირველი! ახლა ამის გამოცნობას მე — ავტორი თქვენგან ველი.

II

კუდფარფაშა ცხოველია, ხტუნია და ძალზე ცმუტი, ხიდან ისე დაეშვება, როგორც კარგი პარაშუტი, დასაქერად საძნელოა, რადგან არის იგი ფრთხილი, საჭმელად და საკნატუნოდ ერთობ უყვარს რკო და თხილი.

აღ. სარგოლაძე